

საქმე №01/2016

გადაწყვეტილება

შპს „პალიტრა TV“

25 მარტი, 2016 წელი

ქ.თბილისი

საქმის განმხილველი: შპს „პალიტრა TV“-ის თვითრეგულირების ორგანო - საჩივრების განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ინგა დადიანი - დირექტორი.
2. ინგა სამხარაძე - პროდიუსერი.
3. ბესარიონ კიკვაძე - მთავარი რეჟისორი.

საჩივრის ავტორი: თამარ ხორბალაძე „მედიის განვითარების ფონდი“, ზაია პატარაია - კავშირი „საფარი“, მარია დარჩიევი „იდეტობა“, ნათია იმნაძე „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, ეკა ჭითანავა „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“.

დავის საგანი: 28 თებერვალს, 20 საათზე გადაცემის „ფალავანდიშვილთან“ მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-ს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „პალიტრა TV“-ის 2013 წლის 10 ივნისის #2 ბრძანებით დამტკიცებული „მაუწყებლის თვითრეგულირების სისტემის შესახებ“ დებულების საფუძველზე შპს „პალიტრა TV“-ს საჩივრების განმხილველი კომისიის შემადგენლობამ მიიღო საჩივარი განსახილველად, გაეცნო საჩივარში მითითებულ გარემოებებს, ასევე გაეცნო საჩივარში მითითებულ სამართლებრივ საფუძვლებს, იმსჯელა მათი საფუძვლიანობის შეფასების მიზნით და გამოარკვია შემდეგი:

1. 2016 წლის 28 თებერვალს, 20 საათზე გადაცემას „ფალავანდიშვილთან“ ესწრებოდა ფართო აუდიტორია, კერძოდ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მათ შორის: მეუფე იოანე - რუსთავის მიტროპოლიტი, საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარე; ლევან ვასაძე - ბიზნესმენი; მარინა კაჭარავა - ფსიქოლოგი; დიმიტრი ლორთქიფანიძე - პოლიტიკოსი; ჯემალ ჭკუასელი - ხელოვანი; ირაკლი აფაქიძე - მსახიობი; ვაჟა ოთარაშვილი - მწერალი; ელიზბარ ჯაველიძე - ლიტერატორი; გოგი ყიფიანი - ფსიქოლოგი; ზურაბ ტყემალაძე - პარლამენტარი; გოგი თოფაძე - პარლამენტარი; ია ბაგრატიონ-მუხრანელი - სკოლა-ლიცეუმის დამფუძნებელი; დენის დავითაშვილი - ყოფილი პარლამენტარი; შოთა ანასაშვილი - საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული მოძრაობა; ფრიდონ სულაბერიძე - მოცეკვავე; რამაზ ხუროძე - პროფესორი; დავით მხეიძე - ჟურნალისტი; პაატა გიორგაძე - აკადემიკოსი; გურამ სადარაძე - სპორტსმენი; და სხვ.
2. სტუმრებს მიეცათ მათი აზრის დაფიქსირების საშუალება, უზრუნველყოფილი იყო აზრის თავისუფალი გამოხატვა და დისკუსია. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, ასევე ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს. ამავე კანონის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. აზრი, შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც

ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას. ამასთან, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-ს თანახმად, მაუწყებლობის სარედაქციო დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება დაცულია ზეწოლისა და ზემოქმედებისაგან. ასევე, მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

3. გადაცემაში ვიდეო ჩართვის სახით წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო ექსპერტები, რაც ხელს უწყობდა გადაცემაში პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას.
4. საჩივარში წარმოდგენილია გადაცემიდან გაკეთებული ამონარიდები, რაც წარმოადგენს გადაცემის სტუმრების აზრს, კერძოდ, მათ მიერ მოხდა საკუთარი აზრის გამოთქმა, რაც გარანტირებულია კანონით.
5. დაცულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ მიღებულია ზომები ინფორმაციის წყაროსა და ფაქტების სიზუსტის უზრუნველსაყოფად, იხ. გადაცემა.
6. დაცულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნები, წამყვანმა უზრუნველყო აუდიტორიის მონაწილეობა და ბევრი მონაწილის მიერ აზრის დაფიქსირება, იხ. გადაცემა.
7. დაცულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნები, გადაცემაში არ გამოქვეყნებულა ისეთი მასალები, რაც გააღვივებს სიძულვილს, იხ. გადაცემა.
8. დაცულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ გადაცემის მსვლელობისას ფუნდამენტური უფლებები იყო დაცული, გაიმართა დისკუსია, მონაწილეებმა დააფიქსირეს როგორც საკუთარი აზრი და ასევე გადმოსცეს ინფორმაცია წყაროთა მითითებით, იხ. გადაცემა.

გადაწყვეტილება: ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისიის წევრებმა ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება შპს „პალიტრა TV“-ს საჩივრების განმხილველი კომისიის საჩივარში მითითებულ პუნქტებს დარღვეულად არ მიიჩნევს.

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს შპს „პალიტრა TV“-ს თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში 7 (შვიდი) დღის ვადაში.

საჩივრების განმხილველი კომისიის წევრების ხელმოწერები:

ინგა დადიანი დირექტორი

ინგა სამხარაძე პროდიუსერი

ბესარიონ კიკვაძე მთავარი რეჟისორი

